

„მე შენ მიყვარდი, შენ შენგდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შევექლო“...

ნიკოლაჟის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 6 (261) 22 ივნისი ხუთშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

22 ივნისს ფოთი „ვაზისობას“ იხეივებს, - ეს იქნება კველისა და ახლის თანაარსებობის დღესასწაული



ფოთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა
დღესასწაული „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 850 წლისთავის ნიშნით
წარიმართა **მე-3-გვ**



ქალაქის ზღვისკენ შემობრუნება დაწყებულია და ფოთი მალე განდგება საქართველოს ტერიტორიული სინტრი ინტეგრირებული ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან, პატონ ირაკლი კაკულიასთან
მე-2-გვ

„ვაზისის“ სერო-სამეცნიერო აკადემიამ ფლის ბოლო სხდომა კოეზიას მიუძღვნა
მე-6-გვ



ერს თაჟისი ისტორია იხანს

ვინ და რატომ ცდილობს კოლხეთის კვალის დაშლას? ვინც ამას აკეთებს, ან უზუნური მოკეთება, ან - ჩასაფრებული მტერი.



სამეგრელოს მოედანი

რატომ, როდემდე? **ფირნიში-სამეგრელოს მოედანი, მაჟანა ბაღაჭრა**
მე-3-გვ



ფოთს მუნიციპალური საავადმყოფო ენაჭირდება
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს
მე-4-გვ




ილიდი ტიკაშვილი - 75
ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში ხელოვნების ქურუმის, დიდი ლობჯარის იროდი ტიკარაძის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო გაიმართა

ღანდემონილ ხელოვნის პარსკვლავი გაუხსნან

ვრცლად შემდეგ ნომერში

თეოფანე დავითიას სახელობის №1 საჯარო სკოლის 150 და ღვაწლმოსილი კვადრობის, ქალბატონ თინა ჭოჭუას დაბადებიდან 100 წლის იუბილე **150 წლის წინათ მიგარებულნი საქართველოს მომავალი**




აკადემიკოს თეოფანე დავითიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა

150

მე-5-გვ

კვალნი ღროში რამინ აბლოთიას ულოხავენ დაბადების დღეს ქვეყნისადმი ეწიგულებით გამტჩქეული



მე-4-გვ

სალომე მიქაქა ჟურნალისტების დახმარებას ითხოვს სიპართლის გარკვევაში

მე-5-გვ



რევაზ ჩხარტიშვილი, მწერალი და ხაზოგადო მდევანე მშობლიურ ქსდაქს და თანაქსდაქელებს ეფერება

მე-7-გვ

უძველესი კოლხური ენა მსოფლიო ისტორიის საოცრებებს ინახავს

„ქეზანი და დიდებანი ლაზური ენისანი“


მე-7-გვ

სსოვნა

ფოთელთა სამსახურში განვლილი წლები

გიული გარკანიშვილი

მე-8-გვ



საერთაშორისო ფესტივალზე ფოთელთა მოსეკვეთება გრანპრი დაიმსახურეს
ანსამბლი „როკვა“ კოლონეთში
მე-5-გვ

ქალაქის ზღვისკენ შემობრუნება დანახულია და ფოთი მალე განდგება საქართველოს ტერიტორიული სინდრომი

ინტერვიუ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან, ბატონ ირაკლი კაკულიასთან



ქართველებს გულმავიწყობაც დაგვანებდა და გაკეთებულის დაუნახობაც, არადა, ქვეყნის უახლესი პერიოდს წინააღმდეგობით არის აღსაყვანი. დაპირისპირება, შური და მტრობა სხვადასხვა ძალების თანმდევი პროცესი გახდა, თუმცა ქვეყანა ერთია. საარჩევნო ეტაპის - განვლილი გზის პარამეტრებზე გვესაუბრება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ირაკლი კაკულია.

ბატონ ირაკლი,
- საქართველოს ცხოვრების პოლიტიკურ ეპიცენტრი კონსტიტუციის განხილვას, საპარლამენტო რეჟიმის პირობებში რატომ კეთდება აქცენტი პრეზიდენტის სახალხო არჩევნებზე, ცოტა გაუგებარია? საპრეზიდენტო მოდელი სააკაშვილის დროს რაც მივიღეთ ცნობილია, მისთვის კონსტიტუცია უბრალოდ უბის წიგნაკი იყო. რას იტყვით ამის თაობაზე?

- საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საკონსტიტუციო რეფორმა უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი. მე ვიტყვი, რომ დროის შესაბამისი მოვლენაა, რადგანაც წინა ხელისუფლებისაგან დაშვებული საკანონმდებლო გადახრები გამოსასწორებელია. საკონსტიტუციო სახელმწიფოს კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის სპიკერი, ბატონი ირაკლი კობახიძე გარკვევით და ნათლად ასაბუთებს იმ საკანონმდებლო ნოვაციებს, რაც ევოლუციურ ხაზის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მიუხედავად ოპოზიციური სექტორისა, კრიტიკული გამოხატულებისა, ფიქრობ, რომ კონსტრუქციული მიდევნება, რაც მთავარია, გათვალისწინებულია მოსახლეობის შეინჯვებით, მოსახურებით. ასევე ვენციის რეკომენდაციები და რეკვირები, სააკაშვილის მიერ დატარებული დაკავშირებული კონსტიტუცია, რომ განახლებას მოითხოვდა, ამაზე ორი აზრი არც არსებობს.

- მაკორიტიარული სისტემა ბევრ ქვეყანაშია შენარჩუნებული, დიდი ალბათობაა უნათო პოლიტიკოსების მოხვედრის, ამის თაობაზე თქვენი აზრი?

- მაკორიტიარული სისტემის შესახებ მეც ვეთანხმები მმართველ გუნდს, ვინაიდან, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საზოგადოება ჯერ ვერ იქნება მზად იმისათვის, რომ არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით გამართოს. ცვლილებანი, როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნების ირგვლივ აბსოლუტურად მისაღებია.

- „ოცნებას“ ძვირად დაუჯდა კოპაბიტაცია, „ნაცები“ ახლა პირიქით ხდებიან ბრალს. რატომ მოხდა ასე და ვის აძლევს იგი ხელს-მინაურ თუ ვარეშე მტრებს?

- გეთანხმებით, კოპაბიტაცია ურთულესი მომენტი აღმოჩნდა. მაგრამ არ უნდა დავვიწყოთ ვისთან და რასთან გვექონდა საქმი. 4 წელიწად ნახევარში საბოტაჟისა და დესტრუქციის პირობებში იოლი არ შეიქმნა სირთულეების გადალახვა, რამაც წარმოიქმნა ცალკეული პრობლემები. რაც შეეხება ნაციონალურ ბრალდებებს, ეს მათი ოპონირების სტილია, წმინდა წყლის დამაგოვია, სინდრუმი, პროვოკაცია, უარგუმენტაციო კრიტიკა, ცილისწამება, ეს ყველაფერი ნაცნობი მეთოდებია, რაც სამწუხაროდ დღემდე მოედინება ზოგიერთი მედიასაშუალებებიდან და სოციალური ქსელებიდან. ამ ყველაფერს საზოგადოების უდიდესი ნაწილი ყურადღებას აღარ უთმობს.

- ადამიანები მალე ვივიწყებთ წარსულს, ნეოფაშისტური რეჟიმის კვალი დიდხანს გაეყვება ხევს პოლიტიკურ ცხოვრებას, თუმცა ადამიანები ქვეყნის სწრაფ წინსვლასა და განვითარებას ელოდნენ, რაც სამწუხაროდ მრავალი ფაქტორების გამო ვერხდება, ხად არის გამოსავალი?

- ჩვენ არ უნდა დაგვაიწყდეს უმძიმესი, 9 წლიანი ნაცმორაობის ბაკანალი-პოლიტიკურად, სამართლებრივად, სოციალურად. სააკაშვილის რეჟიმმა არნახული ნეგატივი შეიტანა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროსა და უბანზე. ყოველმხრივ, ყველა ფორმით ფეხქვეშ გათვალეს ადამიანის უფლებები, სულიერი და მატერიალური ფასეულობები, ეკონომიკურ დანაშაულებებსა და კრიმინალურ ადვირახსნილობაზე რომ არაფერი ვთქვათ. როგორ გვონათ ასე ადვილია თითქმის მიწასთან გასწორებული ქვეყნის, ქალაქის რევიონის ფეხზე დაყენება? განახლებული სოფლის

მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგების გამოცოცხლება. ბევრს გვსაყვებოდა, გვაქილიკებენ-პროგრესი არ იგრძნობა, არადა არის პროგრესი, დაწყებულია აღმშენებლობა. ახლა ის დროა ფუნდამენტი რომ იყრება, ფუნდამენტი კი მოგეხსენებათ, ვიზუალურად ძნელად დასანახია. ერთი ხალხური გამოთქმა არსებობს - „კაცს თუ არ უნდა რიყზე ქვას ვერ დაინახავს“. ასეა ამ შემთხვევაშიც-დალოცვილო თუ ნაკლოვანებებს ხედავ, პრობლემებს არჩევ, რატომ აიგნორირებ ნაკლებ საქმეს? ცხადია, ხარვეზი და პრობლემა ბევრია, მაგრამ რა შემთხვევაშია ეროვნული ან ხელისუფლებას დაგვაიწყდა? სირთულეებიდან გამოსავალი თავადლებულ შრომაში და პარტნიორობაში რეალურ კონტაქტებშია, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ბერკეტების ძიება მოქმედებაშია, საითაც მიმართულია ჩვენი ვექტორი.

- ცენტრისა და რევიონის ურთიერთობაზე რას იტყვით? გაიმიჯნა თუ არა ფუნქციები? როგორ უყურებთ რამდენიმე ქალაქში მმართველობის ფორმის შეცვლას.

- ცენტრისა და რევიონის ურთიერთობას ერთხელ და საბოლოოდ დაარეგულირებს ახალი კონსტიტუცია. კიდევ გადავირეგ, მმართველი გუნდის მიერ შედგენილი და ინიცირებული ყველა საკანონმდებლო ნოვაციებსა და რეფორმებს მხარს ვუჭერ.

- ფოთი ვარდა იმისა, რომ იყო საპორტო ქალაქი, აქ თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული: სააკაშვილი თუ ვერხევა, მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, რისი ადგილია შეიძლება ახლდ პირობებში? რას გააძლევს თავისუფალი სავაჭრო ზონა? ცნობილია, რომ აშენდა რამდენიმე საწარმო, ფაბრიკები 5000 კაცზე, კიდევ რა არის მოსალოდნელი?

- ფოთს მრავალდარგოვან წარმოებით პერსპექტივას, რაც საბჭოთა პერიოდში იყო, ცხადია ვერ აღვადგინებ. მაგრამ პორტმა ერთად ანგარიშ გასაწევი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ლოჯისტიკური და გადამამუშავებელი კომპანიები, რომლებიც მსხვილი თბუჯეკტორ გადამამუშავებელი და სოლიდური ადგილი უკავიათ ქვეყნის ეკონომიკაში. ფოთში უახსნილია უკვე რამდენიმე საწარმო, მშენებლობისა და გახსნის პროცესშია კიდევ რამდენიმე, მოქმედებაშია სახელმწიფო პროგრამები, წარმოებითი სფეროს განვითარებისა და ხელშეწყობის მხრივ. ეკონომიკას როდესაც ვხეებით, არ შეიძლება გვერდი ავუვლოთ ტურიზმს, როგორც ერთერთ გამომკვეთილ პერსპექტიულ სფეროს - რომლის ასაღორძინებლად პირველი ნაბიჯები ჩვენს მიერ უკვე გატარებულია და რომლის პირველი ნიშნებიც სახეხუა. ტურიზმის პოტენციალი ჩვენს ქალაქში ხელშეხახვია, არსებობს და განხორციელების პროცესშია პროექტი, რომელიც მხარდაჭერილია მთავრობისა და ხელისუფლების მიერ.

- ახალი პორტის მშენებლობაზე რას იტყვით?

-ახალი პორტის მშენებლობა, იმ პროგრესისა და რეალური წინსვლის ნაწილია, რომელიც განსაზღვრული აქვს სახელმწიფოს. მოგეხსენებათ „კო-აი-ემ-ტერმინალი“ კერძო სტრუქტურაა. მისი განვითარება ქალაქს სახიკეთოდ უნდა წაადგეს. თუმცა არის გარკვეული ტემპები და საკითხები, რომლებიც პორტის ადმინისტრაციასთან გაგვანია და ეს უხედა ქალაქის ტრადიციას ბუნებრივ გარემოს, ლანდშტაფის სანაპიროს, ეკოლოგიას და ა.შ.

- გაჭიანურდა წყალკანალიზაციისა და სტადიონის მშენებლობა, როგორც ჩანს დარღვევები სტრუქტურულ სისტემაში.

- გეთანხმებით, გაჭიანურდა ორივე პროექტი, რაც ჩვენს უმთავრეს პრობლემაა. წყალკანალიზაციის სისტემის სრული რეაბილიტაცია გახლავთ საუ-

კუნის პროექტი, ასეთი მასშტაბის სამუშაოები კომუნისტების მმართველობის დროსაც არ შესრულებულა. წყალკანალიზაცია, დატბორვა-ეს ფოთის ისტორიული სატიკიარია, რასაც უახლოეს დროში დაესმევა წერტილი. გვეხმის ჩვენი თანაქალაქელების გულისწყრომა, ქუჩები მოუწყვსივებელია, არ ხდება ასფალტირება, 5 წელია არ შეკეთებულა ქუჩები, მაგრამ პროექტი, რომელიც გრუნტის სამუშაოს მოიცავს ამის საშუალებას არ იძლევა. რადგან წინა წელს შეკეთებული ქუჩის გადათხრა წყალში გადაყრილი შრომა და ფინანსური სახსრებია. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გვეცხოდან შესრულდება. ივლისის შუა რიცხვებიდან სამუშაოებს შეუდგება ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ცენტრალური სტადიონის მშენებლობას განაახლებს.

- ქალაქში დაიწყო შემობრუნება ზღვისკენ, რა მდგომარეობაა ზღვის სანაპირო ზოლის მშენებლობის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული და საკურორტო საქმის აღორძინებას.

- ქალაქის ზღვისკენ შემობრუნების საკითხი მრავალწლიანი პორობლემაა, აი, სწორედ აქ მივყავართ ტურიზმის პერსპექტივას. საერთოდ ამ თემაზე იმდენი გვაქვს სათქმელი, რომ ერთ საგაზეთო ინტერვიუში ვერ ჩავატეხ. ვიტყვი გადაჭრით-ფოთი უნდა გადაიქცეს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ტურისტულ ცენტრად. პერსპექტივა არის ცალსახად რეალური, რადგან ტურიზმის პოტენციალი ხელისუფლებზე გვიდევს. ამ პოტენციალმა ქალაქს უნდა შეუქმნას საკუთარი, დამოუკიდებელი ეკონომიკური სახსარი, მატერიალური ბაზისი, მასშტაბური ინფრასტრუქტურული სივრცე, რომელმაც უნდა მოიცავდეს ზღვისა და ქალაქის, ქალაქისა და სანაპირო ზოლის ურთიერთშეთანხმებული, სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები. მალთაყვის პროექტმა, რომელიც არის ტურიზმის სფეროს ფუნდამენტი, რეალიზების კვალდაკვალ უნდა მოაგვაროს ყველაზე მძაფრი და მტკივნეული - დასაქმების პრობლემა, ყოველი შემოსული ტურისტი ქალაქში, ეს არის ვაჭრობა, მომსახურება, სერვისი, ტრანსპორტი, სამკურნალო გამაჯანსაღებელი ობიექტები, კულტურა, სპორტი, აქტიური დასვენება, ყველა ერთად კი, ეკონომიკა და ქალაქის საკუთარი ეკონომიკური ბერკეტი. ეს არის უკვე დაწყებული საქმი, ადგილიდან დაძრული კეთილდღეობის ლოკომოტივი და მე მახარებს, რომ ამ პერსპექტივას, რეალიზებას გასაქანი მისცა ჩვენმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ. მინდა კიდევ ერთ მომენტს შევხებ: ტურიზმი და მალთაყვის - მთლიანად სანაპირო ზოლზე ბუღვარის მოწყობის საკითხს. ახლა როდესაც მალთაყვის სარეკრეაციო ზონაში ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის სამუშაოები შესრულებულია, კერძოდ გაყვანილია ახალი გზატკეცილი ზღვის სანაპიროსთან თავისი გადასასვლელებით, გამოფხვებით, ბორღიულებით, ლამიონებით, საპლაჟო ინფრასტრუქტურული ობიექტებით, საშხაპეებით, დასასვენებელი ადგილებით, კვებისა და გართობის ობიექტებით, მოწყობილია 2700 მეტრზე ბუღვარი და ერთ დროს გაუაღი ჭაობიანი ადგილი თანამედროვე დონის სანაპირო ზოლად იქცა, გამწვანდნენ მოქილიკენი, მოშურენი, მოწინააღმდეგეები, რომლებსაც თავის დროზე ტურიზმის იდეა აბსურდად და ილუზიად მიანდათ და აცხადებდნენ - ეს პროექტი ძველი დაწყებულია, სასაცილოა მათი არგუმენტები. 3 წლის წინ ამ ადგილებში გავავალ შეუძლებელი იყო. ახლა აქ ბუღვარია. ჩვენ ადგილიდან დაგვართო ეს საქმი და ამ ფინანსებით, ამ ბიუჯეტით შექმენით ეს რეალური გარემო, რომელიც საბოლოოდ 7 კმ-იან სანაპირო ზოლად უნდა იქცეს. მალთაყვის ხაზი შექურამდე უნდა მივიდეს. ჩვენი მიზანია, აქ, ამ შავიზღვისპირა შემოგარენში, 350 მეტრის თავისუფალ მიწაზე შემოვიდეს ინვენსტორი და შექმნას საკურორტო მატერიული სივრცე. ამისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო არეალის მოწყობა ჩვენი საზრუნავია, როგორც დღეს, ასევე უახლოეს მომავალში. ამ პერსპექტივით დაინტერესდა და დაინტერესებულია საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. დაიხ, სანაპიროს ბუღვარისათვის გარემო პირობებით სათანადო უნდა იყოს. ამისათვის შეიძინა ქალაქმა პლაჟის საწმენდი სპეცმანქანა „ბინტელო“, ამ მიზნით დაიწყო ქ. ფოთში კოლოსთან ბრძოლის პროგრამა, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გამოვხატო ყოფილი სოფლის მინისტრის, აშქამად აგარაღური კომიტეტის თავმჯდომარის,

ბატონ ოთარ დანელიას მიმართ. მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს მთავრობას, ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რევიონული განვითარების ფონდს. ზღვისპირა ბუღვარი საუკუნის პროექტია და მე ჩემს გუნდთან ერთად მებაძევა, რომ ამ სამუშაოშივე საქმის ფუნდამენტის ჩამყვანები ვართ. და თუ ეს ნაკეთები საქმი ჩემმა თანაქალაქელებმა ცხადად დაინახეს და ობიექტური რეალობით დააფიქსირეს, მაშინ ჩემი მუშაობა ამ პერიოდში, ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე, ჩავთვლი, რომ უნაყოფო არ არის.

- რა მდგომარეობაა ნიკოლაის კოშკის მუზეუმის რემონტის თაობაზე?

- ნიკო ნიკოლაძის მემორიალური კლდეის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მატერიალური კულტურის ძეგლია. მასზე ადგილი სამუშაოებს ძველად დაცვის სააგენტო აწარმოებს. სახელმწიფოს დაფინანსებითა და პროექტირებით მიმდინარებს რესტავრირება. სამუშაოები გრძელდება, მოგახსენებთ ადგილმარკირებასა და მეტად სპეციფიკური საქმი, რაც ხანგრძლივი პროცესია. ისე, ძველი, რომ პირვანდელ სახელს იბრუნებს ეს უკვე გამოკვეთილია.

- არის პრობლემები, რომლებიც მთავრობის მხარდაჭერას მოითხოვს, ეს არის ზღვის სანაპირო მშენებლობის წყალგამყოფი ხიდი, რომელიც აგარიულ მდგომარეობაშია, რა კეთდება ამ მიმართულებით?

- გეთანხმებით, უმწვავესი პრობლემაა. მთავრობის დაინტერესებით დადგა საკითხი მდინარე რიონზე, ე.წ. მეშვიდე კილომეტრზე, ახალი პილოტური ნაგებობის მშენებლობისა. ერთ თვეში დაიწევა საკითხის საჯარო განხილვა. 28 ივლისს საზოგადოებასთან ერთად მიმოვიხილავთ გარემოზე შემოქმედების პრობლემას.

- ხომ არ არის გათვალისწინებული ბაღების, სკოლების რემონტი, ასევე ახლის მშენებლობა?

- კვლავინდებურად განათლების სა-მინისტროსა და რევიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერით გავრძელება საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების შეკეთების პროექტები. ასევე ძირეული, შიდა საქალაქო ინფრასტრუქტურული პროექტები.

- წინა ფაზისობაზე დაიხვა საკითხი ქალაქისათვის ისტორიული სახელმწიფოების „ფაზისის“ დაბრუნების თაობაზე. თუმცა გამომდინარე მოწინააღმდეგეები, რომ ფაზისი იყო ბათუმი, ვანი, სოჯი და ა.შ. „ფაზისის“ საერთაშორისო აკადემიამ დააყენა ეს საკითხი მთავრობის წინაშე და იმედა ქალაქის საზოგადოება მხარს დაუჭერს, კარგი იქნება თუ ეს თქვენი მერობის დროს მოხდება.

- ქალაქის მოსახლეობაში ახრთა სხვადასხვაობაა, სოჯი ფაზისს უჭერს მხარს, სოჯი ფოთს. ფიქრობ, ეს მაინც მოსახლეობის, ხალხის გადასაწყვეტია. შექმნილია მეორე საზოგადოებრივი აზრი, რის მიხედვითაც უნდა მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ხალხის არჩეული ვარ, ამიტომაც ხალხის პოზიციაზე ვიდეგები.

- არჩევნები ახლოდება, უამრავი პარტია იბრძვის ხელისუფლებისათვის, თუმცა ქვეყანაც და ქალაქიც ერთია. თქვენ თუ აპირებთ მონაწილეობის მიღებას მერის არჩევნებში. მოკლედ, როგორ შეაფასებდით განვლილ პერიოდს?

- ადგილობრივი არჩევნები უმნიშვნელოვანესი პროცესია ქვეყნის დემოკრატიულ პანორამაზე. ადენად ყველა პარტია - სახელისუფლებო თუ ოპოზიციური, თავის სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს. ახლა სწორედ ეს პერიოდია. „ქართულ ოცნებას“ წინა საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყია, ოფიციალურად არც კანდიდატები არ დასახელებულა. ვაპირებ თუ არა მერის არჩევნებში მონაწილეობას? მე, „ქართული ოცნების“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახლავართ, ვარ „ქართული ოცნების“ ჯარისკაცი, ვემორჩილებ პარტიის ხელმძღვანელობას და ვერტიკალს, რასაც დამისახვევს, ისე ვიმოქმედებ. ერთს კი ვიტყვი, ისევე როგორც წინა არჩევნებში, „ქართულ ოცნებას“ აღტრუნავთ არ ვაყვ. როგორ ვაფასებ განვლილ პერიოდს? - ბიბლიიდან გიპასუხებთ: - „საქმემან შენმან გამოაჩინოს“.

გმადლობთ ინტერვიუსათვის
ოთარ გურასაძე

ფოტოში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღინიშნა

დღესასწაული „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 850 წლისთავის ნიშნით წარიმართა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ფოტოში გრანდიოზულად აღინიშნა. ერთნაირი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები 26 მაისს დიდიდან დაიწყო.

მოეწყო მსველელობა აღმაშენებლის ქუჩაზე, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დემონსტრაცია და განსახლების მინისტრმა სოხარ სუბარმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მახარობლიშვილმა, ქალაქ ფოთის მერმა ირაკლი კაკულიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ, საკრებულოს წევრებმა, სკოლების პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში ცენტრალურ პარკში კულტურული და სპორტული ღონისძიებები მოეწყო. გაიმართა სამხედრო ტექნიკის, ფერწერული ნამუშევრების, კოლხური კულტურის მუზეუმში დაცული ექსპონატების და სახვითი

და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენები. საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა.

სტუმრებმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას და წლის საუკეთესო კურსდამთავრებულები დააჯილდოვეს.

„ქვეყნის დამოუკიდებლობა, ჩვენი ერის ყველაზე დიდი მონაპოვარია და ამ მონაპოვარს საქართველოს თითოეული მოქალაქე უნდა გაუფრთხილდეს. კიდევ უფრო წარმატებული, კიდევ უფრო განვითარებული და კიდევ უფრო თავისუფალი უნდა გაგხადოთ ჩვენი ქვეყანა. ჩვენ რუსთაველის ქვეყნიდან ვართ და ვამაყობთ ამით, ყველას გილოცავთ 26 მაისს - დღეს, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გულწრფელად ზეიმობს“, - განაცხადა ფოთის მერმა, ირაკლი კაკულიამ. ხოლო დემონსტრაცია და განსახლების მინისტრმა სოხარ სუბარმა ფოთიდან მთელ საქართველოს მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და აღნიშნა:

„მთელს საქართველოს ვულოცავ დამოუკიდებლობის დღეს საქართველოს კარიბჭიდან - ფოთიდან. ფოთი არის საქართველოს გასახლევი ევროპაში, სივრცეში რომლისკენაც ვისწრაფვით და რომლის ნაწილიც ვიყავით ყოველთვის. 26 მაისს ძალიან მნიშვნელოვანია დღეა, საქართველოს ბევრჯერ დაუკარგავს დამოუკიდებლობა, ბევრი სისხლი დაღვრილა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველომ საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ეს დამოუკიდებლობა განმტკიცდება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით“, - განაცხადა სოხარ სუბარმა.

მინისტრი ფოთში, კოლხური კულტურის მუზეუმში გამართული გამოფენის - „საქართველოს ევროპული ისტორიის ფურცლების“ გახსნის ცერემონიას დაესწრო.

სოხარ სუბარმა 26 მაისისადმი მიძღვნილ საზეიმო მსველელობაშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც ანდრია პირველწოდებულის სახელო-

ბის ტაძრიდან დაიწყო და ფოთის ცენტრალურ პარკში დასრულდა. ფოთის ცენტრალურ პარკში მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა, გაიმართა სპორტული ღონისძიებები, გამოფენები და კონცერტები.

სოხარ სუბარმა ფოთის პარკში წარმატებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სპეციალური ჯილდოები გადასცა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ფოთში გალა კონცერტით დასრულდა.

P.S. როგორც ცნობილია, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიამ მთავრობას მიმართა თხოვნით, აღენიშნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 850 წლისთავი, რაც საკმაოდ პოზიტიურად აღინიშნა, ახლა დარჩა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 3000 წლისთავის აღნიშვნა და ფოთისთვის ისტორიული სახელის - ფაზისის დაბრუნება, ანუ ეწოდოს ფოთი-ფაზისი. იმედია, მთავრობა ამ თხოვნასაც გაითვალისწინებს.



ერს თავისი ისტორია იხავეს

ვინ და რატომ ცდილობს კოლხეთის კვალის წაშლას - კულტურის, სულიერების სიმბოლოების მოსპობას? =ვინც ახას აკეთებს, ან

უზუნური მოკეთა, ან - ჩასაფრებული მტერი. რატომ, როდემდე?

ფირნიში-სამეგრელოს მოედანი, მავანმა ბაღაჭრა



სამეგრელოს მოედანი

ისტორია ერის ფესვებია, მისი სიმაღლეც, სიღრმეც, ღირსებაც აქედან იწყება. ერს თავისი ისტორია იცავს და ვინც პატივს არ მიაგებს წარსულს, წინაპრებს-კვდება.

კოლხეთი რომ ცივილიზაციის სათავეა, მსოფლიომ გაიგო და ჩვენ რით ვერ გავიგეთ? ფაზისი რომ დღევანდელ ფოთში იყო პეროდოტემ და სტრაბონმაც ზუსტად მიანიშნეს - ქალაქი ზღვას, ტბასა და მდინარეს შორის. მაგრამ არ იჯერებს მავანი - ხანაც - ვანიას, ხანაც - არქეოპოლისი, ხან - ბათუმი, გონიო, რუსები ამტკიცებენ სოჭი იყო. (კიდევ კარგი ქართული ქალაქია), მაგრამ ვერ გავიგებია, ჩვენ რა მოგვივიდა ფოთიდან? მაინდა - მაინც იმ 1 %-იან საუკეთესოს რომ ვენდობით-ფოთი არ იყო ფაზისი, და ამას ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკებიც იზიარებენ, მავანთა ხათრით თუ სხვა მიზეზით. ან შურით სხვამ როგორ დაგვასწროს ისტორიული სახელის მინიჭების მოთხოვნა. არადა, როგორც აღვნიშნე, ისტორია რომც არ გქონდეს უნდა გამოიგონო, როგორც ამას აკეთებენ ჩვენი მეზობლები.

კოლხურ-ფაზისური კვალის წაშლა კარგახანია დაიწყო ფოთში. ჯერ „ფაზისის“ აკადემიის შენობა (სამხატვრო გალერეა პარკში)

დაწვეს და გაანადგურეს. მედვას ძეგლი სადღაც გაქრა. ცნობილი მოგზაურის ტიმ სევერინის ექსპედიციის - „არგონავტების ნაკვალავზე“, პატივსაცემად სახლავო ვაგხალთან აგებული „არგონ“ ტიპის შენობა დაანგრიეს. ცნობილია, რომ სევერინი ბათუმში-როგორც ვითომ ფაზისში არ გაჩერდა და მდინარე რომელიც - ძველ ფაზისში შემოვიდა, რომელიც სანაოსნო არტერია იყო და ასეთი დიდი მდინარე საქართველოში არსად არ არის. ამიტომაც ფაზისი აქ მოიხსენიებოდა. ამ დიდ მოგზაურსა და მეცნიერს ეს არ შეშლებოდა და ვანელებსაც არ დაეთანხმა ფაზისქალაქობაზე. ალბათ, გახსოვთ ქალაქის შემოსასვლელში ოქროს საწმისის ემბლემა, ისიც გააქრეს და მარტივად მიაწერეს - ფოთი. შემდეგ ვივად, რახან ფოთი არაო ფაზისი, უფრო შორს წავიდა, და დაიწყო - იგი არც სამეგრელოს ნაწილია - არადა, ვინ გავყო, იგი ხომ სრულიად საქართველოს კუთვნილებაა - ოდიშგან ევრაზიის პორფოსტი. ამდენი შესავალი იმიტომ დაგვიკირდა, რომ შემდგომში მოვლენებმა ეს დაადასტურეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანა არეული იყო და სულიერებისთვის არავის ეცდოდა, მაინდელი ქალაქის მერის, ამჟამად „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით სამეგრელოს ისტორიული მოედანზე დიდი ხელოვანის, ელგუჯა ამაშუკელის უკვდავი ქმნილება-საქართველოს ზნე-

ობრივი გმირის, ცოტნე დადიანის მონუმენტური ქანდაკება დაიდგა და შეგვახსენა მაღალი, ღვთაებრივი, ზნეობრივი ღირებულებები, კაცთმოყვარეობა, სამშობლოსა და მეგობრისათვის თავგანწირვა, გულადობა და სიმამაცე. მახსოვს, ისეთი ამბავი ატეხეს, გეგონებოდა ყაენის ძეგლს დაგამდნენ. ეს დიდებული ძეგლი და იტორიული ფირნიში-სამეგრელოს მოედანი, მავანს დღემდე არ ასვენებს. ძეგლს ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ წარწერას ლამის ათჯერ დააჯახეს მანქანა (სავარაუდოდ სატვირთო), ბოლოს გადაჭრეს და რიონში გადააგდეს. იმათ იცინი ისტორია და მის გაუკუღმართებას, წაშლას ცდილობენ. რატომ, რისთვის, ამის განჯა მკითხველისთვის მიგვიღია. სამწუხაროდ, ზოგისთვის კიდევ - ფირნიში -სამეგრელოს მოედანი უბრალო წარწერაა და სხვა არაფერი. ასე მარტივად მაგრამ მის უკან ხომ დიდი წარსული დგას, ისტორია შენი ჯიშის და ჯილაგის, რომელიც გახსენებს იმას, რომ კოლხური ენა - მეგრული ენა, როგორც ქართულის წინავე ენა სამყაროს საიდუმლოებებს ინახავს დასაბამიდან. უფრო ადრინდელს, ვიდრე მუშევრები, ეპოპტელები, ბერძნები. წაითხეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის ნარკვევები, გაცნაით ბერძნულ-რომაულ წყაროებს, სადაც გასაკვებად წერია, რომ კოლხეთი მსოფლიო ცივილიზაციის სათავეა, უძველესი ენით, დამწერლობით, კულტურით, ფულის ნიშნებით-კოლხური თეთრი, ღითონწარმოება და ა. შ.

რაც შეეხება, ფოთში სამეგრელოს მოედანს, ეს სახელწოდება შემოინიშნა მე-18 საუკუნის უნიკალურ რუკაზე, რუსებმაც კი არ წაშალეს ეს კვალი. მოედნისათვის სა-

ხელწოდების მინიჭების ცერემონიაზე ცნობილია მესაქონლეებმა კვარაცხელიებმა აქედან აჭარის განთავისუფლებისათვის ომში მიმავალ რუსის ჯარს 300 ხარ-კამეჩი გადასცარუსებმა თურქები განდევნეს საქართველოს ძირძველი მიწიდან. სხვა საკითხია მისი სტრატეგიული ინტერესები საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში, მაგრამ შენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის გაწეული ამავი არ უნდა დაუკარგო. ამ ფონზე გაუგებარია რა მიზანს ისახავს ისტორიის უარყოფა, მით უფრო აქ ლაპარაკი არაა მოედნისათვის რუსული სახელწოდების მინიჭებაზე, რაც საკმარისად იყო, თუნდაც ფოთში.

მეგრეთმომკლევობა არახალია, ერთდროს იგი აყვანილი იყო სახელმწიფო რანგში. ცხადია, მსგავს მოვლენებთან არაგვაქვს საქმე, მაგრამ მერკანტილური მიზნები, კუთხურობა და სიძულვილი აშკარაა. ამის ჩამდენი ან უკუნური მოკეთა ან ჩასაფრებული მტერი. რატომ, როდემდის?

ერი, რომელიც წარსულს ივიწყებს-კვდება. წარსულის უზულუბლყოფის მაგალითები სხვაგანაც ბევრია-კულტურის, სულიერების, სიმბოლოების, ძეგლების გადატან-გადმოტანა და აფეთქება და ა. შ. შესაბამისმა სამსახურებმა მეტი სიფხილვე უნდა გამოიჩინონ და ამ „უბრალო“ ფირნიშის მიდმა დაინახონ სამეგრელო თავისი დიდი წარსულით, დღევანდელითა და მომავლით, რომელიც, როგორც დიდი ილია იტყოდა იყო, არის და იქნება საქართველოს ხერხემალი.

ზ. აბრალავა

რამინ აბლოთიას ულოზავენ დაბადების დღეს

კვალნი დროში

ქვეყნისადმი ერთგულებით გამორჩეული



ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე უამრავი სამეცნიერო ნაშრომებისა და წიგნების ავტორი, მრავალი თაობის აღმზრდელი დღესაც წარმატებით განაგრძობს საუნივერსიტეტო საქმიანობას ფოთში, რასაც ფოთის საზოგადოების დიდი მხარდაჭერით სხნის და განსაკუთრებით ეამაყება, რომ ფოთის საპ...

ბატონო რამინ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. თქვენი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისხაბადი მაგალითია მომავალი თაობებისთვის. ფასდაუდებელია თქვენი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ინსტიტუტის დევნილობაში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მამულიშვილური თანადგომა სოციალურად შეჭირვებული დევნილი სტუდენტებისადმი, რომელთა ნიჭისა და ერუდიციისა წარმოსახენად მუდმივად პოულობთ საინტერესო გზებსა და საშუალებებს. თქვენ იმსახურებთ განსაკუთრებულ პატივისცემას, როგორც მეცნიერი, უმაღლესი სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიჭიერი ორგანიზატორი და რაც მთავარია, როგორც ჩვენი ქვეყნის პატრიოტი და დირსეული მამულიშვილი. თქვენ, საკუთარი გამოცდილებით, ცოდნითა და ინტელექტით, ბრძანდებით მაგალითი იმისა, თუ

როგორ უნდა იხარჯებოდეს ადამიანი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში. თქვენი ბიოგრაფიით, დაუსრუტელი ენერჯით, განათლებით, კეთილი საქმეებით დამსახურებულად გიჭირავთ საპატიო ადგილი აფხაზეთის დირსეულ წარმომადგენელთა კოპორტაში. ბატონო რამინ, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაუღალავი შრომით, ქვეყნისადმი ერთგულებით და გამორჩეული ცხოვრების წესით მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს განმს-საზოგადოების პატივისცემას, რომელიც გვირგვინად ადგას თქვენ მიერ სახელოვნად განვლილი ცხოვრების 80 წლიან გზას. გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას, ოჯახურ ბედნიერებას, ახალი საინტერესო ჩანაფიქრების წარმატებით განხორციელებას! გვარავედეთ უფალი!

პატივისცემით აფხაზეთის მთავრობის სახელით

პანტაანე ყოლბაია;

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახელით ილგუჯა გვახაია

ბატონ რამინ აბლოთიას

აფხაზეთის მთავრობას, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, ბატონ ელგუჯა გვახაიას

ბატონო ვახტანგ, ბატონო ელგუჯა,

ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადავიხადოთ და ღრმა პატივისცემა გამოვხატოთ თქვენადმი, იმისათვის, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოაქვეყნეთ მისხალმებელი წერილი მიძღვნილი ჩემი მრავალწლიანი საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და პედაგოგიური საქმიანობისადმი. ეს ჩემი მოკრძალებული საქმიანობის დიდ შეფასებად მიმაჩნია, იმ მეტად საპასუხისმგებლო სფეროში, რომელსაც დევნილი

ახალგაზრდობის საგანმანათლებლო საქმიანობა განეკუთვნება. განსაკუთრებით გამოკვეთილია ჩემი მოღვაწეობა ქ. ფოთში და ქ. ზუგდიდში, სადაც აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილობაში იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მათმა მთავრობამ უმაღლესი განათლების მიღების მიზნით საჭიროდ ჩათვალა აფხაზეთის ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების თავმოყრა, მათთვის თავიანთი სქიმიანობისათვის შესაფერისი პირობების შექმნა. ამოცანა მეტად რთული და შრომატევადი საქმეა, რომელიც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია. მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის მიერ თბილისის სამედიცინო უაქადემიის დაარსება, სადაც უმაღლესი სასწავლებელი განათლებას დებულობდა ძირითადად აფხაზეთის ახალგაზრდობა. კურსდამთავრებულები დღეს სამედიცინო საქმიანობას ეწევიან, როგორც

აფხაზეთის რაიონებში ასევე საქართველოს ყველა კუთხეში და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში. ეს პირველი სამედიცინო კადრების მომზადებაა აფხაზეთში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გისურვებთ დღეგრძელობას. ყველაფერი ის რასაც თქვენ აკეთებთ და მე ვაკეთებ ემსახურება აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების უზრუნველყოფის საქმეს, რაც მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობას წარმოადგენს. წარმატებებს გისურვებთ რთული და საპატიო ამოცანების შესრულების საქმეში.

უღრმესი პატივისცემით

რამინ აბლოთია

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

სხდომამ განიხილა საკითხი: ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში საყოველთაო ჯანდაცვის ორგანიზების, ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ.

ქ. ფოთი „30.“ მაისი 2017 წ. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივმა სათათბირომ 2015 წლის 28 თებერვლის სხდომაზე (ოქმი №04) განიხილა საკითხი მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის ორგანიზების, ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მხარდ და აღმშენებლობით პროცესებს მხარდ ვერ აუბა ქალაქის სამედიცინო მომსახურების სფეროში. საკითხის განმეორებით შესწავლამ გვიჩვენა შემდეგი: ქალაქში სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“-ს (დირექტორი: თ. მიგინეიშვილი) გარდა ფუნქციონირებენ ისეთი სამედიცინო დაწესებულებები როგორც: ცა სს „კორპორაცია ევექსის ფოთის ამბულატორიული ცენტრი“ (ხელმძღვანელი ნ. ლემონჯავა), შპს „პირველი პოლიკლინიკა“ (გ. ვრუშაძე), შპს „ქ. ფოთის ბავშვთა პოლიკლინიკა“ (რ. კაკულია), შპს „იკამედი“ (თ. ბებია), შპს „ბავშვთაანგებული სამედიცინო სახლი (ნ. მორგოშია), შპს ქ. ფოთის ტუბდისპანსერი“ (ზ. ჩარჩხალია), ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი (გ. რუხაძე), სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფოთის სამსახური (კ. გელენიძე), შპს „№2 პოლიკლინიკა (ც. ჩიტაიშვილი), დევნილთა პოლიკლინიკა (ვ. წულაია), ახლად შექმნილი შპს „ლაზიკამედი“ (კ. გელენიძე).

აღნიშნული დაწესებულებები სამედიცინო საქმიანობას ახორციელებენ კანონით დადგენილი წესით და ყველა იმ სამედიცინო სერვისზე, რომელსაც მოსახლეობას აწვდიან, კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვთ შესაბამისი დაცვა - ნებართვები. როგორც წესი - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სამედიცინო საქმიანობაზე კონტროლს, სამედიცინო დაწესებულებებზე კონკრეტული მომსახურების გაწევს უზღუდებით შესაბამისი ლიცენზია - ნებართ-

ფოთის მუნიციპალური საავადმყოფო ენაჭიროება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

